

შპს პოლიპრინტი
ფინანსური ანგარიშგება
2022 წ

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის	
მდგომარეობით	3
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5
ფულის მოძრაობის უწყისი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7
ახსნა განმარტებითი შენიშვნები	8

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	85,198	53,390	33,160
სავაჭრო მოთხოვნები	1,458,581	1,066,750	590,018
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	237,816	87,764	81,965
მარაგები			
- მზა პროდუქცია	10,109	22,753	23,347
- სხვა	1,512,708	1,047,164	1,197,179
საინვესტიციო ქონება		-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	21,506	4,048	58,801
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი	-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	71	71	71
ძირითადი საშუალებები	1,033,178	1,431,036	1,190,109
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	944,584	786,103	838,517
სულ აქტივები	5,303,751	4,499,078	4,013,165
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	366,642	165,353	232,922
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		-	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი	420	420	99
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	658,472	805,920	804,660

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1,189,518	1,284,283	1,664,342
მიღებული გრანტები	-	-	-
სხვა ვალდებულებები	-	101,717	464,401
სულ ვალდებულებები	2,215,052	2,357,692	3,166,424
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	197,210	197,210	197,210
საემისიო შემოსავალი		-	
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	2,185,798	1,238,485	337,950
გადაფასების რეზერვი	705,691	705,691	311,581
სხვა რეზერვები		-	
სულ საკუთარი კაპიტალი	3,088,699	2,141,386	846,741
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5,303,751	4,499,078	4,013,165

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 30 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს


 დირექტორი


 ბუღალტერი

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	5,976,000	5,211,779
საქონლის გაყიდვიდან	5,976,000	5,211,779
მომსახურების გაწევიდან	-	-
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-	-
სხვა	-	-

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(4,104,853)	(3,622,891)
საწყისი მარაგები	(1,061,288)	(1,228,462)
მარაგების შესყიდვა	(3,563,782)	(2,896,024)
გადამუშავების დანახარჯები	(361,757)	(559,693)
საბოლოო მარაგები	881,974	1,061,288
საერთო მოგება	1,871,147	1,588,888

სხვა შემოსავალი	511,053	913,430
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,005,946)	(851,343)
ცვეთა და ამორტიზაცია	(232,883)	(281,582)
საპროცენტო შემოსავალი:		
საპროცენტო ხარჯი :	(159,024)	(175,343)
იჯარის ხარჯი		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(165,815)	(369,342)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1,052,615)	(764,180)

საოპერაციო მოგება	818,532	824,708
-------------------	---------	---------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები	-	394,110

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		
---	--	--

მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		75,827
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-	469,937
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	818,532	1,294,645

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მოთხოვნი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	818,532	1,294,645

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	2,141,386	846,741
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	128,781	824,708
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3,088,699	2,141,386

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 30 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს


 დირექტორი


 ბუღალტერი

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(11,808)	(20,230)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(11,808)	(20,230)
სავალუტო კურსის ეფექტი	43,616	40,460
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	53,390	33,160
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	85,198	53,390

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 30 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს




ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია შპს „პოლიპრინტი“ წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ სამეწარმეო იურიდიულ პირს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია რეგისტრირებულია 2005 წლის 18 ოქტომბერს, მისი იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, დიდი დიღომი, ნიკო ბურის ქუჩა №18. მისი საიდენტიფიკაციო ნომერია:202286383.

კომპანიის წილის მფლობელი არის : ალექსი წიწაკიშვილი 100%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პოლიგრაფიული მომსახურება.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და ფინანსური ანგარიშგების შედგენის საფუძველი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება კომპანიის მიერ მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განხილულია ქვემოთ, რაც თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილი წლისათვის, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

2.1 მომზადების საფუძველები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ისტორიული ღირებულებების საფუძველზე.

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“). წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რაც მოითხოვს ისეთი მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან. შეფასებები და დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილების აღიარება ხდება შეფასების პერიოდში და ნებისმიერ მომავალ პერიოდში, რომელზედაც მოქმედებს ამგვარი ცვლილება.

2.2 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები

მუხლები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში - ლარში.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კონვერტირდება ლარში პერიოდის ბოლო დღეს არსებული ოფიციალური კურსით (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით). უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების ლარში კონვერტაციის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2022 წლის 31 დეკემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით 1 აშშ დოლარი შეადგენდა 2.7020 ლარს 1 ევრო 2.8844 ლარს, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბერს 1 აშშ დოლარი 3.0976 ლარს და 1 ევრო 3.5040 ლარს.

2.3 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

	31.12.2022	31.12.2021
ფული სალაროში	28589.99	6655.11
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	56607.84	46735.05
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	0	0
სულ	85197.83	53390.16

2.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის მიხედვით. ყოველი პერიოდის ბოლოს მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება იმის დასადგენად არის თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება მოთხოვნის თანხების ვერ დაფარვისა. თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს მაშინ გაუფასურების ზარალი მაშინვე აღიარდება მოგება ზარალში. სავაჭრო მოთხოვნები წარდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო ვალდებულებები	1,458,581	1066750
სულ	1,458,581	1066750

2.5 სასაქონლო მარაგები

სასაქონლო მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და გაყიდვის ფასის შემცირებული რეალიზაციის ხარჯებით შეფასებით ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულების შეფასების მეთოდია საშუალო შეწონილი მეთოდი. ყოველი პერიოდის ბოლოს სასაქონლო მარაგები მოწმდება გაუფასურებაზე. იმ შემთხვევაში თუ გაუფასურების მტკიცებულება არსებობს, გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება ზარალში. სასაქონლო მარაგები წარდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
ნედლეული	1512708	1047164
მზა პროდუქცია	10109	22753
სულ	1522817	1069917

2.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიული ღირებულება შემცირებული ცვეთით და გაუფასურების ზარალის თანხით (ზარალის არსებობის შემთხვევაში). ისტორიული ღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივების იმ ადგილამდე და იმ მდგომარეობამდე მიყვანისთვის, რაც აუცილებელია აქტივების მენეჯმენტის მიერ სასურველი ოპერირებისათვის.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა განსაზღვრულია საწარმოს მენეჯმენტის მიერ და შეადგენს 5 წელს. ძირითადი საშუალებები 2022 და 2021 წლებში წარდგენილია შემდეგნაირად:

2021

	საწყისი საბალანსო ღირებულება	შემოსვლა	გასვლა	ცვეთა	საბოლოო საბალანსო ღირებულება
შენობა	838517			52407	786110
მანქანა დანადგარი, ინვენტარი	957822	518209		222003	1254028
სატრანსპორტო საშუალება	131278		48184	7095	75999
სულ	1927617				2116137

2022

	საწყისი საბალანსო ღირებულება	შემოსვლა	გასვლა	ცვეთა	საბოლოო საბალანსო ღირებულება
შენობა	786110			52407	733703
მანქანა დანადგარი, ინვენტარი	1254028			78873	1254028
სატრანსპორტი საშუალება	75999			7095	68904
სულ	2116137				1977762

2.7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიული ღირებულების თანხა შემცირებული ამორტიზაციით და გაუფასურების ზარალის თანხით (ზარალის არსებობის შემთხვევაში). არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხება მათი სასარგებლო გამოყენების პერიოდის პროპორციულად. ხოლო იმ არამატერიალურ აქტივებს რომელთა სასარგებლო

გამოყენების ვადა უცნობია ამორტიზაცია არ ერიცხება. საწარმოს არამატერიალური აქტივები 2022 და 2021 წლებში წარდგენილია შემდეგნაირად:

2022

	საწყისი საბალანსო ღირებულება	შემოსვლა	გასვლა	ამორტიზაცია	საბოლოო საბალანსო ღირებულება
პროგ. უზრუნველყოფა	70	71		70	71
სულ	70				0

2021

	საწყისი ღირ- ბა	შემოსვლა	გასვლა	ამორტიზაცია	ნარჩენი ღირ-ბა
პროგ. უზრუნველყოფა	548			478	70
სულ	548			478	70

2.8 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღიარდება როდესაც კრედიტორი შეასრულებს კონტრაქტით ნაკისრებ თავის ვალდებულებებს და თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. ხოლო სავაჭრო ვალდებულებები შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, რაც გაიანგარიშება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ვალდებულებები წარდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო ვალდებულება	366642	165353
საგადასახადო ვალდებულება	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	420	420

2.9 სესხები

მიმდინარე სასესხო ვალდებულება	658472	907637
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	1189518	1284283

2.10 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. მისი ცვლილება ხდება მხოლოდ პარტნიორების გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალმა განიცადა ცვლილებები და წარდგენილია შემდეგნაირად:

2021	საწყისი	გაზრდა	შემცირება	საბოლოო
საწესდებო კაპიტალი	197210			197210

2022	საწყისი	გაზრდა	შემცირება	საბოლოო
საწესდებო კაპიტალი	197210			197210

2.11 ამონაგები

ამონაგები აღიარდება მისაღები თანხების რეალური ღირებულებით და წარმოადგენს საქონლის რეალიზაციის შედეგად მისაღებ თანხებს ფასდაკლებების და დამატებული ღირებულების გადასახადის გაუთვალისწინებლად. კომპანია აღიარებს ამონაგებს იმ შემთხვევაში თუ ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია და მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

მომსახურეობის რეალიზაცია აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში როდესაც მომსახურეობა გაიწევა კომპანიის მიერ.

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება დროის პროპორციულად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

2.12 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები წარმოიშობა როდესაც პარტნიორზე მოგების განაწილება ხდება. ასევე მოგების გადასახადით იბეგრება არაეკონომიკური

საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯები და სხვა ობიექტები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით.

2.13 დამატებული ღირებულების გადასახადი

ბიუჯეტში გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) წარმოიშობა კომპანიის მიერ საქონლის და მომსახურეობის მიწოდებისას. ვინაიდან კომპანიას უფლება აქვს ჩასათვლელო დღგ-თი შეამციროს გადასახდელი დღგ-ს თანხა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დღგ-ს გადასახდელი ან ჩასათვლელო თანხა აღირიცხება მათ შორის სხვაობის თანხით.

2.14 დივიდენდის განაწილება

დივიდენდის განაწილება აღიარდება ვალდებულებად იმ პერიოდში როდესაც პარტნიორის მიერ მიიღება გადაწყვეტილება დივიდენდის განაწილების თაობაზე.

2.15 მსს ფაას პირველადი გამოყენება

კომპანიის 2022 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს მის მესამე ფინანსურ ანგარიშგებას რომელიც კომპანიის მიერ მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს). შესაბამისად კომპანიის ამ სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი. კომპანია აღნიშნულ თარიღამდე არ ამზადებდა ფინანსურ ანგარიშგებას.

2.16 ურთიერთდამოკიდებული პირები

საწარმოს ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ მისი პარტნიორები და დირექტორები.

საწარმოს ჯგუფის მიერ დამოკიდებულ პირებთან განხორციელებული აქვს ტრანზაქციები:

2.17 ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მენეჯმენტი

კომპანია ოპერირებისას აწყდება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

საბაზრო ფასის რისკი

ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკას, ასევე რისკების მართვის პროცესებსა და შეფასების მეთოდებს. დამატებითი ინფორმაცია ხსენებული რისკების ოდენობასთან დაკავშირებით წარმოდგენილია ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაც იყენებს კომპანია და რომელთაგანაც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის რისკი, განისაზღვრება შემდეგნაირად:

სავაჭრო მოთხოვნები

ფული ბანკში

სავაჭრო ვალდებულებები

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ან ფინანსური ინსტრუმენტის მეორე მხარე ვერ ასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს. კომპანიას ძირითადად საკრედიტო რისკი გააჩნია კრედიტში გაყიდვებიდან.

საკრედიტო რისკი ასევე წარმოიშობა ფულიდან და ფულის ექვივალენტებიდან, ასევე საბანკო დეპოზიტებიდან.

საბაზრო ფასის რისკი

საბაზრო ფასის რისკი შედგება საპროცენტო განაკვეთის რისკისა და სავალუტო გაცვლის კურსის რისკისგან.